ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№–70

ქ. თბილისი; 6 ნოემბერი, 2020 წ. 13:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)

გიორგი ჩაკვეტაძე
ავთანდილ ცინცაძე
ალექსანდრე ხუჯაძე
ნინო რუხაძე

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსი – **ირაკლი თავართქილაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე – **ვასილ აბულაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე – **დავით ჯაიანი**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%–იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „თბილსერვის ჯგუფი"–ს წარმომადგენელი – **დავით ჩანქსელიანი**

სხდომის თავმჯდომარე:

**ლევან ჟორჟოლიანი**
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

## დღის წესრიგი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილსერვის ჯგუფი“-ს მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 ოქტომბრის №64-108 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების ($M_2$ კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების ($M_3$ კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
4. „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით ($M_3$ კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო)რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების, აგრეთვე ავტობუსებით ($M_3$ კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო)რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ქალაქთბილისისმუნიციპალიტეტისსაკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
6. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის

№20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

7. „ქალაქ თბილისში, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა N29-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.003.034) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
8. "ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება 3, მე-4 მიკრორაიონის კორპუს N406ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.39.001.005.01.512) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
9. "ქალაქ თბილისში, წულუკიძის ქუჩა, კორპუს N16-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.10.007.060.01.023) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
10. "ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, დ.გურამიშვილის ქ. N13-ში (საკადასტრო კოდი: N01.20.01.128.039) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
11. „ქალაქ თბილისში, კალოუბნის ქუჩა N18-ში (საკადასტრო კოდი: N*01.19.20.017.008)* მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
12. „ქალაქ თბილისში, მთისძირის ქუჩა N101-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.08.004.016) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
13. ქალაქ თბილისში, შალვა ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი 33-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.012.012) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
14. „ქალაქ თბილისში, ქუჩა მარუაშვილი, N50-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.02.014.010) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
15. „ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა, N104-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.013) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
16. „ქალაქ თბილისში, ილია ვეკუას ქუჩა N22-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.013.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
17. ქალაქ თბილისში, მელაანის V შესახვევი N22, კორპუსი N3-ში და N4-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.08.016.021 და N01.17.08.016.119) მდებარე ზოგიერთი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

18. „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N27-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.013.032) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
19. ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N104-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.013.01.507) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
20. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.101.01.001)მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე " ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
21. "ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, I მიკრო /რაიონის, კორპუსი N17ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.006.012.01.539) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ;
22. „ქალაქ თბილისში, ქუჩა ბაღდადი, ნაკვეთი 23/042-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.023.049) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
23. ქალაქ თბილისში, გუმათჰესის ქუჩა, კორპუს N6ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.008.016.01.023) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
24. "ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლება, მიკრო/რაიონი I, N1 კორპუსში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.009.003.01.029) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
25. „ქალაქ თბილისში, ხუდადოვის ქუჩა N173-ში, კორპუს N4-ში, კორპუს N5-ში და კორპუს N6-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.09.001.004, N01.16.09.001.001, N01.16.09.001.020) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
26. "ქალაქთბილისში, ილორის ქუჩა N14-ში, შენობა-ნაგებობა N1-ში, პირველ სართულზე არსებული 729.25 კვ.მ ფართიდან 540.31 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: 01.11.05.035.010) შპს „ზაურ ხუბუტიას სახელობის დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი დიოსკურიასთვის" (ს/კ:200209844) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

**1.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%–იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული **შპს „თბილსერვის ჯგუფი"–ს წარმომადგენელმა დავით ჩანქსელიანმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილსერვის ჯგუფი"-ს მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 ოქტომბრის №64-108 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

**როგორც დავითმა განმარტა,** წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის პირველი ოქტომბრის N64-108 **დადგენილების მე–2 მუხლით დამტკიცებულ დანართი N2–ში,** რითაც, განსაზღვრება შპს „თბილსერვის ჯგუფი"-ს მიერ გაწეული ცალკეული მომსახურების საფასურის განაკვეთები, **შემდეგი სახის ცვლილებების განხორციელებას:**

- დადგენილების "დანართი 2"-ის მე-5 პოზიციას ჩაემატა სიტყვა „კატეგორია" და სამუშაოს სახედ განისაზღვრება „მე-5 კატეგორიის გრუნტის დამუშავება საკაბელო არხისათვის და დასამონტაჟებელი საყრდენების ჭიქურებისათვის";
- დაზუსტდა მე-6 პოზიცია, რადგანაც არსებულ დანართში არ იყო მითითებული სამუშაოს სახეობა. პროექტით მე-6 პოზიციად განისაზღვრება "მე-3 კატეგორიის გრუნტის დამუშავება დასამუშავებელი დასამონტაჟებელი საყრდენებისათვის".
- მე-7, მე-8 და მე-10 პოზიციებში ზუსტდება სამუშაოების სახელწოდებები და ემატება სიტყვები „მე-3 კატეგორიის".

**მომხსენებლის მითითებით,** პროექტის მიღება განპირობებულ იქნა შემდეგი გარემოებით: შპს „თბილსერვის ჯგუფმა", 2020 წლის 20-21 ოქტომბერს, წერილობით მიმართა ქალაქ თბილისის მერიას და აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2020 წლის პირველი ოქტომბრის N64-108 დადგენილების "დანართ 2" -ში მითითებული ზოგიერთი მომსახურების დასახელება საჭიროებდა შესაბამისი სახით კორექტირებას და დაზუსტებას, შესაბამისად, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული დადგენილების პროექტის შემუშავება და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის დასამტკიცებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

**კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა,** პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის მითითების მიზანშეწონილობასა და დადგენილების პროექტის პრეამბულას შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბებაზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი დადგენილების პროექტს და **მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**2.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ დავით ჯაიანმა, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის** კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების ($M_2$ კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

**დავით ჯაიანმა კომისიის წევრებს შეახსენა**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში, 2020 წლის პირველი ოქტომბრის №64-107 დადგენილებით განხორციელებული ცვლილებები, რითაც, სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფისა და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, **საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში დაინერგა სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემა**, რომელიც ითვალისწინებს, მისი ფუნქციონირებისას ნებართვის გამცემისა და ნებართვის მფლობელის შესაბამის ვალდებულებებს და ინტეგრირებული სისტემის დანერგვისათვის გასატარებელ ღონისძიებებს, ხოლო დადგენილებით დამტკიცებული წესის 18[1] მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ იქნა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილება – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის წარდგინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, განსაზღვროს სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩასართავი ავტობუსების მარშრუტები.

**დავითის განმარტებით, პროექტი ითვალისწინებს შესაბამისი სახის კორექტივების შეტანას:**

- ✓ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილების პირველ პუნქტში და საკრებულოს მიერ დამტკიცებულ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების ($M_2$ კატეგორია) მარშრუტებში (დანართი 1),
- ✓ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების ($M_2$ კატეგორია) მარშრუტებსა (დანართი 2) და მათ განრიგში (დანართი 3).

**მომხსენებელმა განაგრძო თხრობა** და მიუთითა, რომ პროექტით გათვალისწინებულია, დანართი 1-დან ავტობუსების 4 მარშრუტის (№63,64,107 და №169) ამოღება, რაც გამოწვეულია ამ მარშრუტებზე მგზავრთა უკიდურესი სიმცირით, ხოლო დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით დანართ 2-ში ემატება ავტობუსების 8 მარშრუტი (№№408, 419, 457, 463, 464, 476, 482 და 483), რომელთაგან №463 მარშრუტი სრულად ჩაენაცვლება №63 მარშრუტს.

დავითმა დასასრულს, შეჯამების სახით აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტით მტკიცდება:

**1.** ქალაქ თბილისის მთავრობის 2020 წლის 4 ნოემბრის **№20.1315.1620** განკარგულების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების ($M_2$ კატეგორია) მარშრუტები, დანართი 1-ის შესაბამისად;

**2.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 4 ნოემბრის **№20.1315.1620** განკარგულების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების ($M_2$ კატეგორია) მარშრუტები, დანართი 2-ის და მათი განრიგი, დანართი 3-ის შესაბამისად.

მომხსენებლის მითითებით, დადგენილება, დამტკიცების შემთხვევაში, **ამოქმედდება 2020 წლის 7 ნოემბრიდან.**

აზრი გამოთქვეს:

**კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა,** პროექტის მიმართ არსებულ შენიშვნაზე და მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის პირველ მუხლში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 4 ნოემბრის №20.1315.1620 განკარგულების მითითება.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს

**3.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ **დავით ჯაიანმა, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის** კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების ($M_3$ კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

**დავითმა ისაუბრა,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში, შესაბამისი ნორმატიული აქტით შეტანილ ცვლილებაზე, რითაც დაინერგა, საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემა, გათვალისწინებულ იქნა მისი ფუნქციონირებისას ნებართვის გამცემისა და ნებართვის მფლობელის ვალდებულებები და ინტეგრირებული სისტემის დანერგვისათვის გასატარებელ ღონისძიებებს, ამასთან, განისაზღვრა, რომ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ქალაქ თბილისის**

**მთავრობის წარდგინებით, მოქმედი** კანონმდებლობის შესაბამისად, განსაზღვრავს სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემაში ჩასართავი ავტობუსების მარშრუტებს.

**მომხსენებელის განმარტებით, პროექტი ითვალისწინებს,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებით დამტკიცებულ შემდეგ დანართებში კორექტივების შეტანას:

- ✓ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების ($M_3$ კატეგორია) მარშრუტებში (დანართი 1);
- ✓ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების ($M_3$ კატეგორია) მარშრუტებსა (დანართი 2) და მათ განრიგში (დანართი 3).

**დავითმა თხრობა განაგრძო და მიუთითა,** რომ დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩასართავად დანართ 2-ში დაემატა ავტობუსების 5 ახალი მარშრუტი - №№343, 344, 363, 383 და 387, რომელთაგან პირველი 4 მარშრუტი სრულად ფარავს დღეის მდგომარეობით მოქმედ №№13, 19, 43, 63, 83 მარშრუტებს, რის გამოც დღის წესრიგში დადგა ამ უკანასკნელი მარშრუტების გაუქმება და შესაბამისად საკრებულოს დადგენილების დანართი 1-დან მათი ამოღება.

**დავით ჯაიანმა, მოხსენების დასასრულს, შემაჯამებელი სახით აღნიშნა დადგენილების პროექტით დასამტკიცებელი საკითხები:**

- ✓ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 4 ნოემბრის **№20.1316.1621** განკარგულების პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით დადგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების ($M_3$ კატეგორია) მარშრუტები, დანართი 1-ის შესაბამისად;
- ✓ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 4 ნოემბრის **№20.1316.1621** განკარგულების პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით დადგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების ($M_3$ კატეგორია) მარშრუტები, დანართი 2-ის და მათი განრიგი, დანართი 3-ის შესაბამისად;

მომხსენებელმა დაამატა, რომ დადგენილების პროექტი, საკრებულოს მიერ დამტკიცების შემთხვევაში, ამოქმედდება 2020 წლის 7 ნოემბრიდან,

**აზრი გამოთქვეს:**

**კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა,** პროექტის მიმართ არსებულ შენიშვნაზე და მიზანშეწონილად მიიჩნია, დადგენილების პროექტის პირველ მუხლში მიეთითოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 4 ნოემბრის №20.1316.1621 განკარგულება.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**4.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

**ვასილმა ისაუბრა,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებით დამტკიცებული წესის $18^1$ მუხლის მე-2 და მე–3 პუნქტებით განსაზღვრულ საკითხებზე და მიუთითა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო, სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად, განსაზღვრავს მგზავრობის ფასს, ხოლო აღნიშნული საფასური ჩაირიცხება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ანგარიშზე.

**მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6-25 დადგენილებაში განსახორციელებელი, პროექტით წარმოდგენილი ცვლილებები:

✓ **დადგენილების მოქმედ რედაქციას ემატება $20^1$ მუხლი,** რომლითაც ცალკე განისაზღვრება სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული $M_3$ კატეგორიის ავტობუსებით რეგულარული სამგზავრო გადაყვანის შემთხვევაში, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" ვალდებულება – ყოველი თვის დამთავრებიდან არაუგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვისა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წარუდგინოს ინფორმაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილების მე-2 მუხლით გათვალისწინებული კატეგორიების მიხედვით უფასო ან/და შეღავათიანი მგზავრობის უფლებით, ასევე მე-3 მუხლით გათვალისწინებული ფასდაკლების სისტემით მოსარგებლე სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული ავტობუსებით ($M_3$ კატეგორია) ფაქტობრივად გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობის შესახებ.

✓ **დადგენილებას ასევე ემატება 21² მუხლი,** რის მიხედვითაც, ზემოაღნიშნული წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ უნდა უზრუნველყოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესაბამისი ქვეპროგრამიდან, დადგენილ ტარიფამდე/ფასამდე თანხის შევსების მიზნით, $M_3$ კატეგორიის ავტობუსებით რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი მგზავრობით და მე-3 მუხლით გათვალისწინებული ფასდაკლების სისტემით მოსარგებლე თითოეულ მგზავრზე მგზავრობის ტარიფის/ფასის სრული ოდენობის თანხების თავის ანგარიშზე გადატანა, შემდგომში მოქმედი სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესის შესაბამისად შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიისათვის“ ანაზღაურების მიზნით.

**ვასილ აბულაძემ დასძინა, რომ** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6–25 დადგენილებაში, პროექტით წარმოდგენილი ცვლილებებით, 20¹ და 21² მუხლების გარდა, დადგენილების მოქმედი რედაქციის მე-20 და 21-ე მუხლები ყალიბდება ახალი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**5.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ტრანსპორტისა და ურაბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით ($M_3$ კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო)რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების, აგრეთვე ავტობუსებით ($M_3$ კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო)რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

**ვასილ აბულაძემ კომისიის წევრებს შეახსენა, რომ** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82, 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 და 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებებში, 2020 წლის 20 ოქტომბერს განხორციელებული ცვლილებების შედეგად, **2020 წლის 24 ოქტომბრიდან ამოქმედდა სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემა** და მასში ჩართული ავტობუსებით დაიწყო მგზავრთა გადაყვანა.

**მომხსენებელმა აღნიშნა,** რომ ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შემუშავდა დადგენილების პროექტი, რითაც ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის

№20-81 დადგენილებას ემატება 3[1] მუხლი და პროექტით წარმოდგენილი ცვლილებით, **სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემაში ჩართული $M_3$ კატეგორიის ავტობუსებით მოსარგებლე მგზავრები შეძლებენ მგზავრობისას ისარგებლონ** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებით დამტკიცებული **უფასო და შეღავათიანი მგზავრობის უფლებით და ფასდაკლების სისტემით.**

**ვასილ აბულაძემ ასევე აღნიშნა,** რომ დადგენილების ამოქმედებისთვის დამატებითი საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

გადაწყვიტეს:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**6.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ($M_2$ და $M_3$ კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

**ვასილ აბულაძემ ისაუბრა, „საგზაო მოძრაობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 67[1] პუნქტით განსაზღვრულ საკითხზე** და მიუთითა, რომ „სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილი ზოლი არის გზის სავალი ნაწილის ზოლი, რომელიც სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისთვისაა განკუთვნილი და რომელზედაც სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალება სატრანსპორტო საშუალებათა საერთო ნაკადის თანმხვედრი ან საპირისპირო მიმართულებით მოძრაობს. სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილი ზოლი დანარჩენი გზის სავალი ნაწილისაგან საგზაო მონიშვნითაა გამოყოფილი".

**მომხსენებელმა კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია განხორციელებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით** და აღნიშნა, რომ უკანასკნელ წლებში თბილისის რამდენიმე გამზირსა და ქუჩაზე მოეწყო სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილი სპეციალური ზოლი „BUS LANE", რათა $M_2$ და $M_3$ კატეგორიების სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებებს, ე.წ. „საცობების" არსებობის პირობებში, მიეცეთ მგზავრთა დაუბრკოლებლად

გადაყვანის შესაძლებლობა და ეს ტენდენცია ინტენსიურად გრძელდება, რათა, ზემოაღნიშნული ეტაპობრივად გავრცელდეს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში განლაგებულ ყველა იმ გამზირსა თუ ქუჩაზე, სადაც ამის საშუალებას გზის გეომეტრიული პარამეტრები იძლევა.

**ვასილმა თხრობა განაგრძო და მიუთითა, რომ** ზემომითითებულ პირობებში, ბოლო დროს დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მძღოლები, მომსახურების გაწევისას, უგულვებელყოფენ სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილი სპეციალური ზოლის („BUS LANE“) არსებობას, რითაც ხელი ეშლება ავტობუსების გაჩერებებზე მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომის პროცესს და უარყოფითად აისახება მგზავრთა მომსახურების ხარისხზე, აღნიშნულმა კი განაპირობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის აუცილებლობა.

**ვასილ აბულაძემ ისაუბრა,** დადგენილებით დამტკიცებულ წესში განსახორციელებელ ცვლილებაზე, რის მიხედვითაც, ნებართვის მფლობელი ვალდებულია დაიცვას სანებართვო პირობა და „ნებართვის მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში უზრუნველყოს მომსახურების გაწევა დამტკიცებული მარშრუტებით (თუ მარშრუტი მოიცავს სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ სპეციალურ ზოლს „BUS LANE“, მხოლოდ ამ სპეციალური ზოლის გამოყენებით) და მათზე დადგენილი რაოდენობის ავტობუსებით.“.

**ვასილმა აგრეთვე დაამატა, რომ** სასურველია, დადგენილებით დამტკიცებული წესის $18^{1}$ მუხლის $4^{1}$ პუნქტში მოხდეს ტერმინოლოგიური დაზუსტება და ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების გაფორმებამდე, ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ განსაზღვრას დაქვემდებარებულ სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართულ ავტობუსების მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ პირობებში, მძღოლის შრომის ანაზღაურებასა და საწვავის ხარჯთან ერთად გათვალისწინებული იყოს **ავტობუსის ექსპლუატაციის და სხვა ხარჯებიც.**

**მომხსენებელმა დასასრულს დასძინა,** რომ ზემომითითებულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის ზემოხსენებული წესის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტსა და მე-$18^{1}$ მუხლის $4^{1}$ პუნქტში, ხოლო დადგენილების ამოქმედებისთვის დამატებითი საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა N29-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.003.034) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**როგორც მომხსენებელმა განმარტა,** განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა N29-ში მდებარე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 65.31 კვ.მ და 65.87 კვ.მ ფართის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად მოქალაქე გიორგი კოპაძისა და მოქალაქე გელა მამულაშვილისთვის გადაცემას, **ამასთან, ყურადღება გაამახვილა შემდეგ მნიშვნელოვან გარემოებებზე:**

- სამგორის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართეს მოქალაქეებმა გიორგი კოპაძემ და გელა მამულაშვილმა და ითხოვეს, მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული, ქალაქ თბილისში, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა N29-ში მდებარე, **65.31 კვ.მ** და **65.87კვ.მ ინდივიდუალური** საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით შუამდგომლობის გაწევა, ხოლო, აღნიშნული მოთხოვნის შესაბამისად, გამგეობამ, რეკომენდაციებით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას.
- **მოქალაქეთა მიერ, დაინტერესებაში არსებულ უძრავ ქონებაში ხანგრძლივი ცხოვრების ფაქტს ადასტურებს,** როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის I განყოფილება, სამგორის რაიონის გამგეობაში წარდგენილი დოკუმენტებით, ასევე, მოქალაქეები ირინა ოსიტაშვილი, ციალა ხარებავა და რუსუდან კვეკვეცია სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით, სადაც მიუთითებენ, რომ **კარლო კოპაძე 2001 წლიდან დღემდე ოჯახთან ერთად ნამდვილად ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე,** ხოლო, ავთანდილ გოგრიჭიანი და ციალა ხარებავა ადასტურებენ, რომ გელა მამულაშვილი 2002 წლიდან დღემდე ნამდვილად ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.
- სამგორის რაიონის საუბნო განყოფილების წერილითა და გამოკითხვის ოქმების მიხედვით, მოქალაქე ადასტურებს 2001 წლიდან აღნიშნულ მისამართზე გელა მამულაშვილის ცხოვრების ფაქტს;
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წერილების მიხედვით, გიორგი კოპაძეზე, გელა მამულაშვილზე და მათი ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, რეგისტრირებული არ არის.

**ირაკლი თავართქილაძემ ასევე დაამატა, რომ** ქალაქ თბილისის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

**აზრი გამოთქვეს:**

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა, განკარგულების პროექტის მიმართ არსებულ შენიშვნებზე და მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სათაურსა და პირველ პუნქტში ტექნიკური ხარვეზების გასწორება, პირველ პუნქტში უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითება და პროექტის მე–2 მუხლის სტილისტური თვალსაზრისით გამართულობა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**8.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ** სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, "ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება 3, მე-4 მიკრორაიონის კორპუს N406ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.39.001.005.01.512) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**ბატონი ირაკლის მითითებით, პროექტი ითვალისწინებს,** ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება 3, მე-4 მიკრორაიონის კორპუს N406ბ-ში მდებარე 116.87 კვ.მ ფართის მოქალაქე მაყვალა ქართველიშვილისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებას, ამასთან, ისაუბრა, საკითხთან დაკავშირებული შემდეგი დეტალების შესახებ:

- სამგორის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე **მაყვალა ქართველიშვილმა** და ითხოვა, ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება 3, მე-4 მიკრორაიონის კორპუს N406ბ-ში მდებარე 116.87 კვ.მ მის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების, საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით შუამდგომლობის გაწევა;
- **დაინტერესებული პირის მიერ, უძრავ ქონებაში ხანგრძლივი ცხოვრების ფაქტს ადასტურებს,** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის VIII განყოფილების მიერ გაცემული წერილი, სადაც მითითებულია, რომ მოქალაქე მაყვალა ქართველიშვილი 2005 წლიდან ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე. ფაქტს ასევე, ადასტურებენ, მოქალაქე მაყვალა ქართველიშვილის მეზობლები სანოტარო წესით დამოწმებული განცხადებით, სადაც მიუთითებენ რომ აღნიშნული პირი მისამართზე ცხოვრობს 2005 წლიდან დღემდე.
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წერილებზე დაყრდნობით, მოქალაქე მაყვალა ქართველიშვილისა და მისი ოჯახის წევრების სახელზე უძრავი ქონება რეგისტრირებული არ არის.

**მომხსენებელმა აღნიშნა, რომ** სამგორის რაიონის გამგებელმა წერილობითი შუამდგომლობით მიმართა როგორც ქალაქ თბილისის მერს, ასევე, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, და ითხოვა, არადევნილი სტატუსის მქონე, სოციალურად დაუცველი მოქალაქე მაყვალა

ქართველიშვილისათვის, მრავალი წლის განმავლობაში დაკავებული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, ვარკეთილის დასახლება 3, მე-4 მიკრორაიონის კორპუს N406 ბ-ში მდებარე 116.87 კვ.მ სიმბოლურ ფასად – 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემა.

**მომხსენებელმა ასევე დაამატა,** რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

**კომისიის თავმჯდომარემ** მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სათაურის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბება, პროექტის პირველ პუნქტში ტექნიკური ხასიათის ხარვეზის გასწორება, ამავე პუნქტში უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითება, ხოლო, განკარგულების პროექტის მე–2 მუხლის ტექნიკური თვალსაზრისით გამართვა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**9.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, "ქალაქ თბილისში, წულუკიძის ქუჩა, კორპუს N16-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.10.007.060.01.023) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**ბატონი ირაკლის განმარტებით,** პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, წულუკიძის ქუჩა, კორპუს N16-ში, მესამე სართულზე, ბინა N23-ში მდებარე 36.21 კვ.მ. უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, მოქალაქე ნოდარ გაბიდაურისათვის სიმბოლური ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას, ამასთან, **მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებზე:**

- ისნის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე ნოდარ გაბიდაურმა და ითხოვა, ოჯახთან ერთად 1999 წლიდან დღემდე დაკავებული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, წულუკიძის ქუჩა, კორპუს N16, მე–3 სართული, ბინა N23, 36.21 კვ.მ. ფართის პრივატიზების მიზნით, უფლებამოსილ ორგანოებთან შუამდგომლობის გაწევა;
- **დაინტერესებული პირის მიერ, უძრავ ქონებაში ხანგრძლივი ცხოვრების ფაქტს ადასტურებს,** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველო, სამგორის რაიონის გამგეობაში წარდგენილი შესაბამისი დოკუმენტი, აგრეთვე, მოქალაქეები: დოდო გვათუა, ზურაბ

კაკაბაძე და უშანგი გაბიდაური სანოტარო წესით დამოწმებული განცხადებით ადასტურებენ ნოდარ გაბიდაურის 1999 წლიდან დღემდე წულუკიძის ქუჩა, კორპუს N16-ში ცხოვრების ფაქტს.

- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული წერილებით, ნოდარ გაბიდაურს და მისი ოჯახის წევრებს საკუთრებაში არ უფიქსირდებათ უძრავი ქონება.

**მომხსენებელმა ასევე დასძინა,** ისნის რაიონის გამგეობამ წერილობითი შუამდგომლობით მიმართა სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს, მოქალაქე ნოდარი გაბიდაურისთვის, წლების მანძილზე დაკავებული, ქალაქ თბილისში, წულუკიძის ქუჩა, კორპუს N16-ში, მე–3 სართულზე, ბინა N23, 36.21 კვ.მ. ფართის სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, პრივატიზებასთან დაკავშირებით. ხოლო, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, **ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და გადაწყვიტა,** ხანგრძლივი დროის განმავლობაში დაკავებული, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მოქალაქე ნოდარ გაბიდაურისათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლური ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

**კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა,** პროექტის მიმართ არსებულ შენიშვნებზე და მიზანშეწონილად მიიჩნია, განკარგულების პროექტის სათაურში ჩაემატოს სიტყვები „საკითხის შეთანხმების", პირველ პუნქტში აღნიშნულ იქნას უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური - 1 (ერთი) ლარის ოდენობით და პროექტის პირველ და მე–2 პუნქტებში გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზები.

გადაწყვიტეს:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**10.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წამოდგენილი, ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, დ.გურამიშვილის ქ. N13-ში (საკადასტრო კოდი: N01.20.01.128.039) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**ბატონ ირაკლის განმარტებით,** განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, დ.გურამიშვილის ქ. N13-ში მდებარე უძრავი ქონების მოქალაქეებისათვის: **ზაზა რუსაძისა** და **ირმა კასრაძისათვის**, რომლებიც დაახლოებით 30 წელია ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ** ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებას.

მომხსენებელმა დეტალურად ისაუბრა საკითხთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გარემოებების შესახებ:

- ვაკის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართეს მოქალაქეებმა **ზაზა რუსაძემ** (ფართები: 73.25 კვ.მ,83.18 კვ.მ და 78.94 კვ.მ) და **ირმა კასრაძემ** (ფართები: 79.30 კვ.მ, 73.62 კვ.მ და 82.67 კვ.მ) და ითხოვეს მათ მიერ დაკავებული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, დაბა წყნეთი, დ.გურამიშვილის ქ. N13, I და II სართულები, ასევე, ნახევარსადაფეზში მდებარე ჯამში 470.96 კვ.მ ფართის უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემა.

- **მოქალაქე ზაზა რუსაძის ცხოვრების ფაქტის ხანგრძლივობა დასტურდება**, როგორც შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს მიერ გაცემული დოკუმენტით, სადაც მითითებულია, რომ ზაზა რუსაძე დაახლოებით 28 წელია ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე, აგრეთვე, ვაკის რაიონის გამგეობის წყნეთის საუბნო განყოფილების წერილით, სადაც მითითებულია, რომ განყოფილების მიერ ადგილზე გადამოწმებულ იქნა მოქალაქე ზაზა რუსაძის განცხადებაში წარმოდგენილი მონაცემები და გამოკითხული მეზობლები ადასტურებენ ზაზა რუსაძის ოჯახის 1991 წლიდან მითითებულ მისამართზე ცხოვრების ფაქტს, ამასთან, მეზობლების ნოტარიულად დამოწმებულ აქტში მიუთითებენ, რომ ზაზა რუსაძის ოჯახი 1992 წლიდან დღემდე ნამდვილად ფლობს და სარგებლობს ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, გურამიშვილის ქ. N13-ში მდებარე უძრავი ქონებით.

- მოქალაქე ირმა კასრაძის მიერ, უძრავ ქონებაში ცხოვრების ფაქტს ადასტურებს, როგორც **შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველო, შესაბამისი დოკუმენტით,** სადაც მითითებულია, რომ ირმა კასრაძე დაახლოებით 1992 წლიდან ოჯახთან ერთად ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე. აგრეთვე, **ვაკის რაიონის გამგეობის წყნეთის საუბნო განყოფილება წერილით,** სადაც მითითებულია, რომ ადგილზე გადამოწმებულ იქნა მოქალაქე ირმა კასრაძის განცხადებაში წარმოდგენილი მონაცემები და გამოკითხული მეზობლების განცხადებით ირმა კასრაძის ოჯახი 1992 წლიდან ცხოვრობს განცხადებაში მითითებულ მისამართზე. **ხოლო, მეზობლები ნოტარიულად დამოწმებული ხელმოწერებით,** ადასტურებენ, ირმა კასრაძის მიერ ოჯახთან ერთად 1992 წლიდან დღემდე უძრავ ქონებაში ცხოვრების ფაქტს.

მომხსენებელმა ასევე ხაზი გაუსვა შემდეგ ყურადსაღებ საკითხებს:

- მთაწმინდა-კრწანისის სსე ბიუროს მიერ გაცემული ცნობით, ზაზა რუსაძე წარმოადგენს მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პიროვნებას, რაც აქვს სამხედრო მოვალეობის შესრულების დროს მიღებული ტრავმისგან. ირმა კასრაძის აწ გარდაცვლილი მეუღლე ამბროსი ჯაჯანიძე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 19 დეკემბრის #955 განკარგულებით დაჯილდოვდა მედლით საბრძოლო დამსახურებისათვის.

- **საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს** მიერ გაცემული შესაბამისი წერილებით, ზაზა რუსაძე

და ირინა რუსაძე, აგრეთვე, მოქალაქე ირმა კასრაძე დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დევნილთა მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულნი არ არიან.

- **საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული დოკუმენტის მიხედვით,** ზაზა რუსაძის, ირმა კასრაძის და აღნიშნული მოქალაქეების ოჯახის წევრების სახელებზე, საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

**მოხსენების დასასრულს, ბატონმა ირაკლიმ მიუთითა, რომ** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონებების მოქალაქეებისათვის: ზაზა რუსაძე და ირმა კასრაძე, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების თაობაზე საკითხის, შესაბამისი ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

**კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის მიმართ არსებულ შენიშვნებზე და აღნიშნა,** რომ შეიცვალოს პროექტის სათაური, პროექტის პირველ პუნქტში მიეთითოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური, ხოლო, ტექნიკურად გაიმართოს განკარგულების პროექტის პირველი და მე–2 პუნქტები.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**11.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, კალოუბნის ქუჩა N18-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.017.008) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**როგორც ბატონმა ირაკლიმ აღნიშნა,** განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, კალოუბნის ქუჩა N18-ში მდებარე უძრავი ქონების, დანართი N1-ით მოცემულ პირთათვის, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შეთანხმებას, **ამასთან, ისაუბრა საკითხთან დაკავშირებული დეტალების შესახებ:**

✓ სამგორის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართეს მოქალაქეებმა: **ნანა ვაჭარაშვილმა** (67.31კვ.მ); **გულნარა ქავყარაძემ** (20.03 კვ.მ); **მალხაზი გეგეჭკორმა** (13.25კვ.მ); **თეა**

**ფიფინაშვილმა** (15.45 კვ.მ), **გიული ფიფინაშვილმა** (13.47კვ.მ) **კოკა მესხიამ** (42.35 კვ.მ) და **არჩილ მარგველანმა** (57.06 კვ.მ), (საერთო ჯამში 228.92 კვ.მ უძრავი ქონება) და ითხოვეს მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული, ქალაქ თბილისში, კალოუბნის ქუჩა N18-ში მდებარე უძრავი ქონების, საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით შუამდგომლობის გაწევა;

- ✓ **დაინტერესებულ პირთა უძრავ ქონებაში ცხოვრების ფაქტს ადასტურებს,** როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის I განყოფილება, შესაბმისი დოკუმენტით, სადაც მიუთითებს, რომ ზემოაღნიშნული პირები ოჯახთან ერთად ნამდვილად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე 2009-2010 წლებიდან, ამასთან, მოქალაქეების: ნანა ვაჭარაშვილის, გულნარა ქავჟარაძის, მალხაზი გეგეჭკორის, თეა ფიფინაშვილის, გიული ფიფინაშილის, კოკა მესხიას და არჩილ მარგველანის 2009 წლიდან ცხოვრების ფაქტს ადასტურებენ მეზობლები სანოტარო წესით დამოწმებულ აქტზე ხელმოწერით .
- ✓ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ზემოაღნიშნულ პირებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე **რეგისტრირებული არ არის.**

**ბატონმა ირაკლიმ აღნიშნა, რომ** სამგორის რაიონის გამგებელმა წერილობითი შუამდგომლობებით მიმართა ქალაქ თბილისის მერსა და სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა, დევნილის სტატუსის არმქონე მოქალაქეებისათვის: ნანა ვაჭარაშვილს, გულნარა ქავჟარაძეს, მალხაზი გეგეჭკორს, თეა ფიფინაშვილს, გიული ფიფინაშილს, კოკა მესხიას და არჩილ მარგველანს, რომლებიც მრავალი წელია ფლობენ და სარგებლობენ, ქალაქ თბილისში, კალოუბნის ქუჩა N18-ში მდებარე უძრავ ქონებით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად გადაეცეთ საკუთრებაში, ხოლო, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ იმსჯელა და შესაძლებლად მიიჩნია,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლური ფასის – 1 (ერთი) ლარის სანაცვლოდ პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

**კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა** პროექტის სათაურის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბებაზე, პროექტის პირველ პუნქტში არსებული ტექნიკურ ხარვეზის გასწორებისა და უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითებაზე, ხოლო, პროექტის მე–2 პუნქტის სტილისტური თვალსაზრისით გამართულობის მიზანშეწონილობაზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ

თბილისში, მთისძირის ქუჩა N101-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.08.004.016) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ბატონ ირაკლის განმარტებით, განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, მთისძირის ქუჩა N101-ში მდებარე უძრავი ქონების, ქალაქ თბილისის მთავრობის შესაბამისი განკარგულების დანართი N1-ით მოცემულ პირთათვის, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების თაობაზე საკითხის თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას. **მომხსენებელმა ასევე ისაუბრა შემდეგ გარემოებებზე:**

- ისნის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართეს მოქალაქეებმა: **დავით დრეიძემ** (40.13კვ.მ) და **მანანა ქორიძემ** (36.74 კვ.მ) და ითხოვეს მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების (საერთო ჯამში 76.87 კვ.მ ფართი) პრივატიზებასთან დაკავშირებით შუამდგომლობის გაწევა;

- **მოქალაქეთა უძრავ ქონებაში ხანგრძლივი ცხოვრების ფაქტს ადასტურებს,** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს გამგეობაში წარდგენილი შესაბამისი წერილი, აგრეთვე, მეზობლები სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობის აქტით ადასტურებენ, დავით დრეიძისა და მანანა ქორიძის 2006 წლიდან ქალაქ თბილისში, მთისძირის ქუჩა N101-ში ცხოვრების ფაქტს.

- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ზემოაღნიშნულ პირებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე **რეგისტრირებული არ არის.**

**მომხსენებელმა აღნიშნა, რომ** ისნის რაიონის გამგეობამ, წერილობითი შუამდგომლობებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, მოქალაქეებისათვის: დავით დრეიძე და მანანა ქორიძე, მრავალი წლის მანძილზე დაკავებული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, მთისძირის ქუჩა N101, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, ხოლო, **ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია** უძრავი ქონების შესაბამისი განკარგულების დანართი N1–ში მითითებულ პირთათვის სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად გადაცემის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

**აზრი გამოთქვეს:**

**კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა** პროექტის სათაურში შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბებაზე, პროექტის პირველ პუნქტში ტექნიკური ხასიათის ხარვეზის გამოსწორებაზე, ამავე პუნქტში უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური მითითებაზე და პროექტის მე–2 მუხლის სტილისტური თვალსაზრისით გამართულობაზე.

**გადაწყვიტეს:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

**13.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, შალვა ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი 33-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.012.012) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**მომხსენებლის განმარტებით,** განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, შალვა ნუცუბიძის ფერდობი, IV მ/რ, კორპუსი 33-ში მდებარე უძრავი ქონების, ქალაქ თბილისის მთავრობის შესაბამისი განკარგულების დანართი N1-ით მოცემულ პირთათვის, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების თაობაზე საკითხის თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას.

**ბატონმა ირაკლიმ ისაუბრა, საკითხთან დაკავშირებული შემდეგი დეტალების შესახებ:**

- ვაკის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქეებმა: **ქეთო სირაძემ** (130.06 კვ.მ) და **ეკატერინე სირაძემ** (103.91კვ.მ) და ითხოვეს მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების, საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით შუამდგომლობის გაწევა;

- დაინტერესებულ პირთა უძრავ ქონებაში ხანგრძლივი ცხოვრების ფაქტი დასტურდება, როგორც, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს მიერ გაცემული დოკუმენტით, სადაც მითითებული, რომ მოქალაქეები: ქეთო სირაძე და ეკატერინე სირაძე 1998 წლიდან ცხოვრობენ მისამართზე, ამასთან, მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით, აღნიშნული პირები 1998 წლიდან ცხოვრობენ და ფლობენ, ქალაქ თბილისში, შალვა ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი 33-ში მდებარე უძრავ ქონებას.
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ზემოაღნიშნულ პირებზესაკუთრების უფლება უძრავ ნივთზე **რეგისტრირებული არ არის.**

**მომხსენებელმა ასევე მიუთითა,** რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს შესაბამისი წერილის თანახმად, შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის, ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს პოლიციის III სამმართველოში 2015 წლის 7 ნოემბრიდან დაიწყო და მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, ქ. თბილისი, ნუცუბიძის მე-4 მიკრო/რაიონი, კორპუსი №33-ში მდებარე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ბინებში უკანონო შეჭრის ფაქტზე. აღნიშნულ საქმეზე ჩატარებულია საგამოძიებო მოქმედებები,

დაკითხულია მოწმეები და რაიმე შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიღებული არ არის, ამჟამად მიმდინარეობს გამოძიება.

**ბატონმა ირაკლიმ მოხსენების დასასრულს აღნიშნა, რომ** ვაკის რაიონის გამგებელმა წერილობითი შუამდგომლობებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა, მოქალაქეებს: **ქეთო სირაძისა და ეკატერინე სირაძისათვის** მრავალი წლის მანძილზე დაკავებული, ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის მე-4 მ/რ, კორპუსი №33-ში მდებარე უძრავ ქონებით, **სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, ხოლო,** ქალაქ თბილისის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

**კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია,** პროექტის სათაურის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბება, პირველ პუნქტში ტექნიკური ხასიათის ხარვეზის გასწორება, ამავე პუნქტში უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითება და პროექტის მე–2 მუხლში ტექნიკური თვალსაზრისით გამართულობა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**14.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, ქუჩა მარუაშვილი, N50-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.02.014.010) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**მომხსენებლის განმარტებით,** განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, მარუაშვილის ქუჩა, N50-ში მდებარე უძრავი ქონების, ქალაქ თბილისის შესაბამისი განკარგულების დანართი N1-ით მოცემულ პირთათვის, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთან შესთანხმებლად წარმოდგენას.

ბატონმა ირაკლიმ, მოცემულ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს მიაწოდა შემდეგი სახის ინფორმაცია:

- ჩუღურეთის რაიონის გამგებელს განცხადებით მიმართეს მოქალაქეებმა: **ლუბა კოხრეიძე (54.04 კვ.მ)** და **ლიანა როყვა (49.27 კვ.მ) (სხვენი 53.03 კმ.მ)** მათ ფაქტობრივ მფლობელობაში

არსებული უძრავი ქონების, საკუთრებაში გადაცემის მიზნით შუამდგომლობის გაწევასთან დაკავშირებით.

- **დაინტერესებულ პირთა უძრავ ქონებაში ხანგრძლივი ცხოვრების ფაქტს ადასტურებს, როგორც,** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის მთავარი სამმართველოს პოლიციის III სამმართველო, გაცემული დოკუმენტით, სადაც მითითებულია, რომ მოქალაქეები: ლუბა კოხრეიძე და ლიანა როყვა 2003 წლიდან ნამდვილად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე. ამასთან, მეზობლები, სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით, სადაც მითითებულია, რომ მითითებული პირები 2000 წლიდან ცხოვრობენ უძრავ ქონებაში.

- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ზემოაღნიშნულ პირებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე **რეგისტრირებული არ არის.**

**მოხსენების დასასრულს, ბატონმა ირაკლიმ აღნიშნა, რომ** ჩუღურეთის რაიონის გამგეობამ წერილობითი შუამდგომლობებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მოქალაქეებისათვის: ლუბა კოხრეიძე და ლიანა როყვა, მრავალი წლის მანძილზე დაკავებული უძრავი ქონები, მდებარე: ქ. თბილისი, მარუაშვილის ქუჩა N 50, სიმბოლურ ფასად – 1 (ერთი) ლარად პრივატიზებასთან დაკავშირებით, ხოლო, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ, იმსჯელა და შესაძლებლად მიიჩნია,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

**აზრი გამოთქვეს:**

**კომისიის თავმჯდომარის ისაუბრა** პროექტის სათაურსა და პირველ პუნქტში არსებული ტექნიკური ხარვეზების გამოსწორებაზე, პირველ პუნქტში უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითებასა და ტექნიკური თვალსაზრისით პროექტის მე–2 მუხლის რედაქტირების მიზანშეწონილობაზე.

**გადაწყვიტეს:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

**15.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა, N104-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.013) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**ბატონ ირაკლის განმარტებით,** განკარგულების პროექტი ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა, N104-ში, მდებარე უძრავი ქონების შემდეგი პირებისათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას:

1. **ივანე ჟამურელი;** პ/ნ24001018060; 72.46 კვ.მ; ს/კ: 01.17.02.059.013.01.504.
2. **მურაზ ჟამურელი;** პ/ნ 24001010715; 53.37 კვ.მ; ს/კ: 01.17. 02.059.013.01.502.
3. **ნუგეშა ხაფთანი;** პ/ნ 30001000496; 67.93 კვ.მ; ს/კ: 01.17.02.059.013.01.506.
4. **ჟენია შავიძე;** პ/ნ 12001067915; 66.42 კვ.მ; ს/კ 01.17.02.059.013.01.500.
5. **მალხაზ ბახტაძე;** პ/ნ 37001044254; 69.93 კვ.მ; ს.კ 01.17.02.059.013.01.501.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ისნის რაიონის გამგეობამ, შუამდგომლობით მიმართა, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, და მასთან წარდგენილი განცხადებების საფუძველზე, ითხოვა ქ.თბილისში, საინგილოს V ჩიხი, ს/ქ 18ა, სახლი N88, საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.013-ში არსებული საცხოვრებელი იზოლირებული ფართების, ზემომითითებული პირებისათვის, სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემა. მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებზე:

- **დაინტრესებულ პირთა მიერ, უძრავ ქონებაში ხანგრძლივი ცხოვრების ფაქტს ადასტურებს,** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველო, გამგეობაში წარდგენილი შესაბამისი დოკუმენტაციით, სადაც მითითებულია, რომ განკარგულების პროექტის დანართი 1-ში, მითითებული პირები, 2004-2009 წლებიდან დღემდე ნამდვილად ცხოვრობენ მისამართზე: ქ.თბილისი, საინგილოს V ჩიხი, #18ა, ს/ქ N88. ამასთან, მეზობლები, ნოტარიულად დამოწმებული განცხადებებით, ადასტურებენ, ზემოაღნიშნული მოქალაქეების 2003-2004 წლებიდან დღემდე, უძრავ ქონებაში ცხოვრების ფაქტს.

- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წერილებით, უძრავი ქონების გადაცემით დაინტერესებული ზემოაღნიშნული პირებისა და მათი ოჯახის წევრების სახელზე, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის ელექტრონული წიგნის მონაცემებით, საკუთრების უფლება უძრავ ნივთებზე ქალაქ თბილისში, რეგისტრირებული არ არის.

**მოხსენების დასასრულისაკენ, ბატონმა ირაკლიმ აღნიშნა,** რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

**კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა** განკარგულების პროექტის სათაურის, პირველი და მე–2 პუნქტების ტექნიკური და სტილისტური თვალსაზრისით შესწორების მიზანშეწონილობაზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

**16.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, ილია ვეკუას ქუჩა N22-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.013.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**როგორც სააგენტოს უფროსმა განმარტა,** განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ილია ვეკუას ქუჩა N22–ში მდებარე ინდივიდუალური საცხოვრებელი ფართების, 2000–2002 წლებიდან ოჯახებთან ერთად, მუდმივად მცხოვრები, დევნილის სტატუსის არმქონე შემდეგი მოქალაქეებისათვის, პირდაპირი განკარგვის წესით, სიმბოლური ფასის – 1 (ერთი) ლარის სანაცვლოდ პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას:

- **ბაჩუკი ჯოჯუა** – გადაეცემა მე–2 სართულზე, **37.82 კვ.მ. ფართი;**
- **გიორგი სამუშია** – გადაეცემა მე–2 სართულზე, **96.29 კვ.მ.** ფართი;
- **თათია ცქვავა**– გადაეცემა მე–2 სართულზე, **57.84 კვ.მ. ფართი;**
- **თამარი უბილავა** – გადაეცემა მე–2 სართულზე, **30.98 კვ.მ ფართი;**
- **ლევან ლაგვილავა** – გადაეცემა მე–2 სართულზე, **29.89 კვ.მ. ფართი;**
- **მერაბ ცერცვაძე** – გადაეცემა მე–2 სართულზე, **30.18 კვ.მ ფართი,**
- **ნუკრი ყაზარაშვილი** – გადაეცემა მე–2 სართულზე, **108.80 კვ.მ.**

მომხსენებელმა დეტალურად ისაუბრა, პროექტით წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებული გარემოებების შესახებ და აღნიშნა, რომ **გლდანის რაიონის გამგეობის მიერ, სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს წერილობით ეცნობა,** რომ გამგეობას წარედგინა, ქალაქ თბილისში, ილია ვეკუას ქუჩა N22–ში მცხოვრები ზემოაღნიშნული მოქალაქეების განცხადებები, მათ მიერ ფაქტობრივად დაკავებული უძრავი ქონების პრივატიზებასთან დაკავშირებით შუამდგომლობის თხოვნით. ხოლო, გამგეობის მიერ, უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, გამომოკვლეულ იქნა უძრავი ქონების გადაცემით დაინტერესებულ პირთა შესახებ მონაცემები და შესაბამისი უწყებებიდან გამოთხოვილი შესაბამის დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, დადგენილ იქნა აღნიშნილ პირთა მიერ, უძრავ ქონებაში დაახლოებით 17 (ჩვიდმეტი) წლის მანძილზე ცხოვრების ფაქტი. ამასთან, მოპოვებულ იქნა ინფორმაცია მოქალაქეთა სახელზე რიცხული უძრავი ქონების შესახებ(ინფორმაცია როგორც არსებულ, ასევე წარსულში მათ საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით).

**ბატონმა ირაკლიმ** უძრავი ქონების გადაცემით დაინტერესებულ მოქალაქეთა **ხანგრძლივი ცხოვრების ფაქტის დადასტურების საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა,** რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი–

ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის პირველი განყოფილების მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტებით, მოქალაქეები: გიორგი სამუშია, მერაბ ცერცვაძე, თამარი უბილავა, ლევამ ლაგვილავა, ნუკრი ყაზარაშვილი და ბაჩუკი ჯოჯუა ოჯახებთან ერთად მუდმივად ცხოვრობენ დაახლოებით 17 (ჩვიდმეტი) წელია, ხოლო, მოქალაქე თათია ცეკვავა ოჯახთან ერთად დაახლოებით 15 (თხუთმეტი) წელია ცხოვრობს მუდმივად.

**მომხსენებელმა ასევე მიუთითა, რომ პირთა მიერ 2000–2002 წლებიდან ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებენ,** გლდანის რაიონის გამგეობის გლდანის კენტი მიკრო რაიონების საუბნო განყოფილება ადგილზე მოკვლევის შედეგად, ამასთან, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის „აფხაზეთი" წევრები, სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით. ამასთან, ყურადღება გაამახვილა შემდეგ საკითხებზე:

- **სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს** წერილებით, უძრავი ქონების გადაცემით დაინტრესებულდა მათი ოჯახის წევრების სახელზე, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის.
- აღსანიშნავია, რომ გიორგი სამუშიას თანასაკუთრებით, სხვა პირთან ერთად ეკუთვნის ქალაქ ზუგდიდში პაიჭაძი ქუჩა N49–ში მდებარე უძრავი ქონება, ხოლო ბაჩუკი ჯოჯუას სახელზე,რეგისტრირებულია ქალაქ სენაკში, უნივერსიტეტის ქუჩა N15–შიმდებარე უძრავი ქონება.
- სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს 2018 წლის 12 დეკემბრის წერილით გლდანის რაიონის გამგეობას ეცნობა, რომ **დევნილთა ბაზაში არ არიან რეგისტრებული შემდეგი მოქალაქეები: გიორგი სამუშია, ბაჩუკი ჯოჯუა, თათია ცეკვავა, ლევანი ლაგვილავა, თამარი უბილავა, მერაბ ცერცვაძე და მათი ოჯახის წევრები.**

მოხსენების დასასრულს, ბატონმა ირაკლიმ აღნიშნა, რომ **გლდანის რაიონის გამგეობამ შუამდგომლობა გაუწია ზემოაღნიშნულ 7 (შვიდი) მოქალაქეს** მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მდებარე: ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქუჩა N22, სიმბოლურ ფასად – 1 (ერთი) ლარად პრივატიზებასთან დაკავშირებით, ხოლო, **ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და გადაწყვიტა,** ქალაქ თბილისში, ილია ვეკუას ქუჩა N22–ში მდებარე უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად, ამავე განკარგულების დანართ N1–ში მითითებული პირებისათვის პრივატიზების თაობაზე საკითხის და მათთან გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტის, ქალაქ თბილისის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:
**კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია,** პროექტის სათაურში სიტყვების საკითხის შეთანხმების" ჩამატება, პირველ პუნქტში უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითება და პირველი პუნქტის პროექტის მე–2 პუნქტთან ერთად ტექნიკურ–სტილისტური თვალსაზრისით შესწორება.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**17.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, მელაანის V შესახვევი N22, კორპუსი N3-ში და N4-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.08.016.021 და N01.17.08.016.119) მდებარე ზოგიერთი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**მომხსენებლის განმარტებით, განკარგულების პროექტი ითვალისწინებს,** ქალაქ თბილისში, მელაანის V შესახვევი N22, კორპუსი N3-ში და N4-ში მდებარე უძრავი ქონების, დანართი N1-ით მოცემულ პირთათვის, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხის საკრებულოსთან შეთანხმებას.

**ბატონმა ირაკლიმ ასევე აღნიშნა, რომ** ისნის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართეს მოქალაქეებმა: ნონა ფილიპიამ (37.49კვ.მ) ნანა კაკულიამ (59.99 კვ.მ) ნინო მოლოდინმა (21.87კვ.მ და 17.22კვ.მ), ნიკა დარასელიამ (22.89 კვ.მ), გოჩა სანაყოშვილმა (18.66კვ.მ.), კახაბერ ცინცაძემ (67.69 კვ.მ) და ნაირა ქეთიშვილმა (73.78 კვ.მ) (საერთო ჯამში გადაეცემათ 319.59 კვ.მ უძრავი ქონება) და ითხოვეს, მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემა. მომხსენებელმა ასევე ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებზე:

- **მოქალაქეთა უძრავ ქონებაში ცხოვრების ფაქტი დასტურდება, როგორც,** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველო მიერ გაცემული წერილებით, სადაც მითითებულია, რომ ზემომითითებული პირები 2005–2007 წლებიდან ცხოვრობენ ოჯახებთან ერთად. ასევე, მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობით, სადაც მითითებული, რომ მოქალაქეები: ნონა ფილიპია, ნანა კაკულია, ნინო მოლოდინი, ნიკა დარასელია, ნაირა ქეთიშვილი 2005 წლიდან, ხოლო კახაბერ ცინცაძე 2012 წლიდან ნამდვილად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე, ასევე, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „თანადგომა"-ს კრების ოქმით, ამხანაგობის წევრები ადასტურებენ, რომ გოჩა სანაყოშვილი შვილთან ერთად 2005 წლიდან ნამდვილად ცხოვრობს ქალაქ თბილისში, მელაანის V შესახვევი N22, კორპუსი N4-ში;
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ზემოაღნიშნულ პირებზესაკუთრების უფლება უძრავ ნივთზე **რეგისტრირებული არ არის.**

**ბატონმა ირაკლიმ ასევე მიუთითა, რომ** ისნის რაიონის გამგებელმა წერილობითი შუამდგომლობით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა, მოქალაქეებს: ნონა ფილიპიას, ნანა კაკულიას, ნინო მოლოდინს, ნიკა დარასელიას, ნაირა ქეთიშვილს გოჩა სანაყოშვილს და კახაბერ ცინცაძეს, რომლებიც მრავალი წელია ფლობენ და სარგებლობენ, ქალაქ თბილისში, მელაანის V შესახვევი N22, კორპუსი N3-ში და N4-ში მდებარე უძრავ ქონებით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად გადაეცეთ საკუთრებაში. ხოლო, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ, იმსჯელა და მიზანშეწონილად** მიიჩნია უძრავი

ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად გადაცემას, განკარგულების დანართი№1-ით წარმოდგენილ პირთათვის.

აზრი გამოთქვეს:
**კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა** პროექტის სათაურის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების, პირველ პუნქტში არსებული ტექნიკური ხარვეზების აღმოფხვრისა და უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითების, აგრეთვე, პროექტის მე–2 პუნქტის სტილისტური თვალსაზრისით გამართულობის მიზანშეწონილობაზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**18.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N27-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.013.032) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**ბატონმა ირაკლიმ თხრობის დასაწყისში აღნიშნა, რომ** განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N27-ში მდებარე უძრავი ქონების შემდეგი პირებისათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხის, ქალაქ თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას:

- ლია ჭანტურიძე 18.17კვ.მ; ზინა ჯღარკავა 39.21კვ.მ; მარინე სხულუხია 14.93 კვ.მ; ია ბიბილური 18.73 კვ.მ; ციალა ხვედელიძე 36.19 კვ.მ; მალხაზ ქველაძე 39.30 კვ.მ; ბაირონ ქალდანი 26.96 კვ.მ; ლენა სულავა 37.13 კვ.მ; გიორგი ჩახნაშვილი 35.04 კვ.მ; ლამზირა კობერიძე 112.24 კვ.მ;. ქეთევან ანდღულაძე 41.50 კვ.მ; შორენა კიკაძე 46.12 კვ.მ; ნოდარი ყოჩიაშვილი 61.47 კვ.მ; ნანა ჟვანია26.58 კვ.მ; ნანა აბრამიშვილი; 36.84 კვ.მ;

**მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტით წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებული გარემოებანი, კერძოდ:**

- სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს, შუამდგომლობით მიმართა, გლდანის რაიონის გამგეობამ და მასთან წარდგენილი განცხადებების საფუძველზე, ითხოვა ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N27-ში მდებარე, საცხოვრებელი იზოლირებული ფართების, სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილი განკარგულების პროექტის დანართი 1-ში ზემომითითებული პირებისათვის.

- **დაინტერესებულ პირთა უძრავ ქონებაში ხანგრძლივი ცხოვრების ფაქტს ადასტურებს,** როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის X განყოფილება, გამგეობაში წარდგენილი შესაბამისი მასალებით, სადაც მითითებულია, რომ ზემომითითებული პირები ოჯახებთან ერთად, 2000-2011 წლიდან დღემდე ნამდვილად ცხოვრობენ მისამართზე: ქალაქ თბილისი, გმირი კურსანტების ქუჩა N27-ში, ამასთან, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „აფხაზეთის" **კრების ოქმით** დასტურდება, რომ ლია ჭანტურიძე, მარინე სხულუხია, ციალა ხვედელიძე, ქეთევან ანდღულაძე - **2002 წლიდან,** ზინა ჯღარკავა, ლენა სულავა, გიორგი ჩახნაშვილი, ლამზირა კოზერიძე, შორენა კიკაძე - **2000 წლიდან,** ია ზიზილური, ზაირონ ქალდანი, მალხაზი ქველაძე - 2003 წლიდან, ნოდარი ყოჩიაშვილი - **1995 წლიდან,** ნანა ჟვანია - **2001 წლიდან** და ნანა აზრამიშვილი (ნატალია აზრამიშვილის სამართალმემკვიდრე) **2011 წლიდან** ოჯახებთან ერთად მუდმივად ცხოვრობენ ზემოაღნიშნულ მისამართზე.

- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წერილებით, ზემომითითებული პირების სახელზე, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის ელექტრონული წიგნის მონაცემებით, საკუთრების უფლება უძრავ ნივთებზე ქალაქ თბილისში, რეგისტრირებული არ არის.

**მოხსენების დასასრულს, ბატონმა ირაკლიმ მიუთითა, რომ** ქალაქ თბილისის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

**აზრი გამოთქვეს:**
**კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა,** პროექტის სათაურის, პირველი და მე– 2 პუნქტების რედაქტირებასა და უფრო გამართული სახით ჩამოყალიბების მიზანშეწონილობაზე.
**გადაწყვიტეს:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

**19.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, "ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N104-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.013.01.507) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**მომხსენებლის განმარტებით,** განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N104-ში მდებარე უძრავი ქონების მოქალაქე **ზაზა ბოჭორიშვილისათვის,** რომელიც დაახლოებით 16 წელია ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით

პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების თაობაზე საკითხის თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას.

**ბატონმა ირაკლი აღნიშნა, რომ** ისნის რაიონის გამგეობას წარედგინა მოქალაქე ზაზა ბოჭორიშვილის განცხადება, რომელმაც ითხოვა, წლების მანძილზე დაკავებული უძრავი ქონების, მდებარე, ქალაქი თბილისი, საინგილოს ქუჩა N104, სართული I, 109.16 კვ.მ სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით შუამდგომლობის გაწევა.

**სააგენტოს უფროსმა კომისიის წევრებს გააცნო საკითხთან დაკავშირებული შემდეგი გარემოებანი:**

- ისნის რაიონის გამგეობამ შუამდგომლობის წერილით მიმართა სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს და აცნობა, რომ გამგეობა არ არის წინააღმდეგი მოქალაქე ზაზა ბოჭორიშვილის მიერ დაკავებული ფართის მუნიციპალიტეტის ბალანსზე აღიცხვისათვის, შემდგომში აღნიშნული პირისათვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

- **დაინტრესებული პირის მიერ, უძრავ ქონებაში ცხოვრების ფაქტს ადასტურებს,** როგორც შსს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველო შესაბამისი დოკუმენტით, სადაც მითითებულია, რომ მოქალაქე ზაზა ბოჭორიშვილი დაახლოებით 2004 წლიდან ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე, ამასთან, ნოტარიულად დამოწმებული ხელმოწერებით მეზობლები ადასტურებენ, რომ ზაზა ბოჭორიშვილი 2004 წლიდან დღემდე ნამდვილად ფლობს და სარგებლობსქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N104-შიმდებარე ბინას.

- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული დოკუმენტაციის მიხედვით, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის ელექტრონული წიგნის მონაცემებით ზაზა ბოჭორიშვილისა და მისი ოჯახის წევრების სახელებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

**მოხსენების დასასრულისაკენ, ირაკლი თავართქილაძემ დაამატა, რომ** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლური ფასის – 1 (ერთი) ლარის სანაცვლოდ მოქალაქე ზაზა ბოჭორიშვილისათვის პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

**აზრი გამოთქვეს:**

**კომისიის თავმჯდომარე მიზანშეწონილად მიიჩნევს** განკარგულების პროექტის სათაური ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით, პირველ პუნქტში მიეთითოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური და აღნიშნულ პუნქტში, პროექტის მე–2 მუხლთაან ერთად აღმოიფხვრას ტექნიკური ხასიათის ხარვეზები.

**გადაწყვიტეს:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**20.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.101.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**ბატონ ირაკლის განმარტებით,** განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა N7-ში პირველ სართულზე, ბინა N 1-შიმდებარე 79.19კვ.მ უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, მოქალაქე მარინე ცუცუნაშვილისთვის პრივატიზების თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას. ამასთან, მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებზე:

- მთაწმინდის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე მარინე ცუცუნაშვილმა და ითხოვა ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა N7-ში პირველ სართულზე, ბინა N1-ში მდებარე, მის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული 79.19 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით შუამდგომლობის გაწევა, ხოლო, აღნიშნული მოთხოვნის შესაბამისად, **გამგეობამ, შუამდგომლობით მიმართა ქალაქ თბილისის მერს,** დევნილის სტატუსის არმქონე პირის – მარინე ცუცუნაშვილისათვის დაკავებული უძრავი ქონების პრივატიზებასთან დაკავშირებით.

- მთაწმინდის რაიონის გამგეობის მიერ, საკითხთან დაკავშირებული დამატებითი დოკუმენტაცია წარედგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს.

- **დაინტერესებული პირის მიერ, უძრავ ქონებაში ხანგრძლივი ცხოვრების ფაქტს ადასტურებს,** როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს პოლიციის მე-6 განყოფილება, შესაბამისი დოკუმენტაციით, ამასთან, მოქალაქეები: ციური კოკონაშვილი, გულიკო აფციაური და ლილი მამულაშვილი სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით ადასტურებენ, რომ მარინე ცუცუნაშვილი ოჯახთან ერთად ცხოვრობს ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა N7-ში, მდებარე ფართში 1992 წლიდან.

- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, **მარინე ცუცუნაშვილისა** და მისი ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, **რეგისტრირებული არ არის.**

**დასასრულს, ბატონმა ირაკლიმ აღნიშნა,** ქალაქ თბილისის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, დაინტერესებული პირისათვის უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

**კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ** მიზანშეწონილია, პროექტის სათაურში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი, პირველ პუნქტში აღინიშნოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური, ამავე პუნქტში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი მთავრობის განკარგულების მითითების ნაწილში, ხოლო მე–2 მუხლი გაიმართოს სტილისტური თვალსაზრისით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

21. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, I მიკრო /რაიონის, კორპუსი N17ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.006.012.01.539) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**მომხსენებლის მითითებით,** პროექტი ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, I მ/რ–ში, კორპუსი N17ა-ში პირველ სართულზე მდებარე 83.58 კვ.მ ფართის მოქალაქე მარინა ცუცქირიძისათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას.

ბატონმა ირაკლიმ ისაუბრა საკითხთან დაკავშირებული გარემოებების შესახებ და აღნიშნა შემდეგი:

- გლდანის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე მარინა ცუცქირიძემ და ითხოვა, მის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, გლდანის დასახლება, I მ/რ, კორპუსი N17ა, პირველ სართულზე, **83.58 კვ.მ** ფართის პრივატიზებასთან დაკავშირებით შუამდგომლობის გაწევა;

- **დაინტერესებული პირის მიერ, უძრავ ქონებაში ცხოვრების ფაქტს ადასტურებს,** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის I განყოფილება, შესაბამისი დოკუმენტით, სადაც მითითებულია, რომ მოქალაქე მარინა ცუცქირიძე აღნიშნულ

მისამართზე **ნამდვილად ცხოვრობს** 1998 წლიდან. ამასთან, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „სიხარული 2009"-ის 2020 წლის 3 თებერვლის კრების ოქმის მიხედვით, მარინა ცუცქირიძე ოჯახთან ერთად ზემოაღნიშნულ მისამართზე ცხოვრობს 1998 წლიდან.

- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული წერილის მიხედვით, მარინა ცუცქირიძისა და მის ოჯახის წევრებზე **არ არის რეგისტრირებული საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე.**

**მოხსენების დასასრულისაკენ, ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა,** რომ გლდანის რაიონის გამგებელმა წერილობითი შუამდგომლობით მიმართა ქალაქ თბილისის მერს და სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, **დევნილის სტატუსის არმქონე, სოციალურად დაუცველი მოქალაქე მარინა ცუცქირიძისათვის,** მრავალი წლის მანძილზე დაკავებული უძრავი ქონების, მდებარე: ქ. თბილისი, გლდანის დასახლებაში, I მ/რ, კორპუსი N17ა, პირველი სართული, 83.58 კვ.მ ფართის სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად გადაეცეს საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, ხოლო, ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და შესაძლებლად მიიჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

**კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა,** პროექტის სათაურის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბებაზე, პროექტის პირველ პუნქტში უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითებასა და აღნიშნული პუნქტის მე–2 მუხლთან ერთად ტექნიკური თვალსაზრისით გამართულობის მიზანშეწონილობაზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

22. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ**, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, ქუჩა ბაღდადი, ნაკვეთი 23/042-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.023.049) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**როგორც ბატონმა ირაკლიმ აღნიშნა,** განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ბაღდადის ქუჩაზე (ნაკვეთი 23/042) მდებარე ინდივიდუალური საცხოვრებელი ფართების, **2012–2014 წლებიდან ოჯახებთან ერთად, მუდმივად მცხოვრები, 69 (სამოცდაცხრა) მოქალაქისათვის** პირდაპირი განკარგვის წესით, სიმბოლური ფასის – 1 (ერთი) ლარის სანაცვლოდ პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას.

მომხსენებელი დეტალურად ესაუბრა კომისიის წევრებს განკარგულების პროექტით წარმოდგენილი საკითხის შესახებ და ყურადღება გაამახვილა შემდეგ დეტალებზე:

- **სსიპ–ქონების მართვის სააგენტოს ისნის რაიონის გამგეობის მიერ,** წერილობით ეცნობა, რომ ისნის რაიონის გამგეობაში შემოსულია ჰოლბრუკის ქუჩა N6ა-ში ს/კ 01.17.12.023.049 (ყოფილი ბაღდათის ქუჩა N6ა) მცხოვრები მოქალაქეების განცხადებები, მათ მიერ ფაქტობრივად დაკავებული საცხოვრებელი ფართების პრივატიზების თხოვნასთან დაკავშირებით. აღნიშნული უძრავი ქონება (ე.წ. ყოფილი სამხედრო ჰოსპიტალის შენობა) აღირიცხებოდა სახელმწიფო საკუთრებად, თუმცა დღეის მდგომარეობით, მოქალაქეთა დაინტერესებაში არსებული ინდივიდუალური საცხოვრებელი ფართები აღირიცხება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად.

- ისნის რაიონის გამგეობის წერილსავე დაყრდნობით, უძრავი ქონება თვითნებურად დაკავებული აქვთ სხვადასხვა სტატუსის მქონე პირებს, უმრავლესობა რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, შენობა-ნაგებობაში სს „თელასის" მიერ ინდივიდუალურად აბონირებულია 227 ოჯახი, ხოლო განცხადებით ისნის რაიონის გამგეობას მომართა 211-მა ოჯახმა. გამგეობის წერილში აღნიშნულია, რომ ე.წ. ყოფილი სამხედრო ჰოსპიტლის მოსახლეობა იმყოფება უკიდურესად შეჭირვებულ მდგომარეობაში, შენობას წლების განმავლობაში არ მიეწოდებოდა ბუნებრივი აირი, დაზიანებულია და არ ფუნქციონირებს წყლისა და საკანალიზაციო სისტემები.

- გამგეობის შუამდგომლობის საფუძველზე, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ გასცა თანხმობა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დროებით ინდივიდუალური გამრიცხველიანების და მოსახლეობის აბონენტად აღრიცხვის თაობაზე. დღესდღეობით ყოფილი ჰოლბრუკის ქუჩა N6ა-ში მცხოვრები **მოსახლეობა უზრუნველყოფილია ელექტროენერგიით.**

- ზემოაღნიშნულ მისამართზე მცხოვრებ მოსახლეობის ერთ-ერთ გადაუჭრელ პრობლემას, ასევე წარმოადგენდა, წლების მანძილზე დაგროვილი სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენები, რომელიც იყო ანტისანიტარიისა და ინფექციის წყარო. 2018 წლის 13 ივნისს ისნის რაიონის გამგეობის შუამდგომლობით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის N18.415.678 განკარგულების საფუძველზე, **შპს „თბილსერვის ჯგუფის" მიერ** მოხდა დასუფთავებისთვის საჭირო სამუშაოების შესრულება და ტერიტორიის სამშენებლო ნარჩენებისაგან სრულიად განთავისუფლება.

**ირაკლი თავართქილაძემ განაგრძო თხრობა და მიუთითა,** რომ სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს წარედგინა ისნის რაიონის გამგეობის წერილი, რითაც გამგეობამ სააგენტოს აცნობა, რომ განხორციელდა ზემოაღნიშნულ მისამართზე 2014 წლის ჩათვლით შეჭრილ პირთა მიერ დაკავებული უძრავი ქონების ინდივიდუალური საკადასტრო ნახაზების აღება და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დარეგისტრირება, ხოლო, ყველა არსებული ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, გამგეობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, მოქალაქეებისათვის თვითნებურად დაკავებული ფართების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით შუამდგომლობის გაწევა.

მომხსენებელმა აგრეთვე ისაუბრა შემდეგი დეტალების შესახებ:

- უძრავი ქონების გადაცემით დაინტერესებულ მოქალაქეთა (69 (სამოცდაცხრა პირი) **ხანგრძლივი ცხოვრების ფაქტს ადასტურებს,** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი–სამგორის მთავარი სამმართველო, სამგორის რაიონის გამგეობაში, წარდგენილი შესაბამისი დოკუმენტით, ასევე, მეზობლებლად მცხოვრები მოქალაქეები სანოტარო წესით დამოწმებული აქტებით ადასტურებენ უძრავი ქონების გადაცემით დაინტერესებულ პირთა მიერ 2011–2014 წლებიდან ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას;
- **საჯარო რეესტრის სააგენტოს წარმოდგენილ წერილებზე დაყრდნობით,** უძრავი ქონების გადაცემით დაინტერესებულ პირთა სახელზე, საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის.

მოხსენების დასასრულს, ბატონმა ირაკლიმ აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია**, ქალაქ თბილისში, ზაღდადის ქუჩაზე, ნაკვეთის 23/042, ს/კ: N01.17.12.023.049, ამავე განკარგულების დანართ N1–ში მითითებული პირებისათვის (69 (სამოცდაცხრა) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლური ფასის – 1 (ერთი) ლარის სანაცვლოდ პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა, პროექტის სათაურში სიტყვების „საკითხის შეთანხმების ჩამატების, პირველ პუნქტში თბილისის მთავრობის განკარგულების სათაურის ნაწილში დაშვებული შეცდომის გამოსწორების, ამავე პუნქტში უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური მიეთითებისა და აღნიშნული პუნქტის პროექტის მე–2 პუნქტთან ერთად სტილისტური თვალსაზრისით შესწორების მიზანშეწონილობაზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**23.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ**, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, გუმათჰესის ქუჩა, კორპუს N6ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.008.016.01.023) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**მომხსენებლის განმარტებით,** განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, გუმათჰესისქუჩა, კორპუს N6ა-ში მდებარე, 20.00 კვ.მ. უძრავი ქონების მოქალაქე ნატო მჭედლიძისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი), ლარად პრივატიზების თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას.

**ბატონმა ირაკლიმ ყურადღება** გაამახვილა შემდეგ მნიშვნელოვან გარემოებებზე:

- სამგორის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე ნატო მჭედლიძემ და ითხოვა მის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქ. თბილისი, გუმათჰესის ქუჩა, კორპუს N6ა, 20.00 კვ.მ. ფართის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით შუამდგომლობის გაწევა,აღნიშნული მოთხოვნის შესაბამისად, სამგორის რაიონის გამგეობამ, რეკომენდაციით მიმართა ქალაქ თბილისის მერს.

- დაინტერესებული პირის მიერ, უძრავ ქონებაში ხანგრძლივი ცხოვრების ფაქტს ადასტურებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს პოლიციის VII სამმართველო, შესაბამისი დოკუმენტით, ამასთან, მოქალაქეები: ანა დათუნაშვილი, ნინო ბარნაბიშვილი, ხათუნა მგალობლიშვილი ნოტარიულად დამოწმებული აქტით ადასტურებენ, რომ ნატო მჭედლიძე 2003 წლიდან, ოჯახთან ერთად, ნამდვილად ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე. მითითებული თარიღიდან მოქალაქის ცხოვრების ფაქტს ასევე ადასტურებენ შესაბამისი მოქალაქეები ქვემო სამგორის საუბნო განყოფილების მიერ შედგენილ ადგილზე გამოკითხვის ოქმებში;

- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წერილების მიხედვით, ნატო მჭედლიძისა და მისი ოჯახის წევრებზესაკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, **რეგისტრირებული არ არის.**

**მოხსენების დასასრულს,** ბატონმა ირაკლიმ მიუთითა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და შესაძლებლად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

**აზრი გამოთქვეს:**
**კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა,** რომ მიზანშეწონილია, პროექტის სათაურში გასწორებულ იქნას ტექნიკური ხასიათის შეცდომა, პროექტი გაიმართოს ტექნიკურად და აღინიშნოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური, ხოლო, მე–2 პუნქტი გასწორდეს სტილისტური თვალსაზრისით.

**გადაწყვიტეს:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

**24.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი,"ქალაქ

თბილისში, ლილოს დასახლება, მიკრო/რაიონი I, N1 კორპუსში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.009.003.01.029) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**როგორც ბატონმა ირაკლიმ განმარტა,** განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლება, მიკრო/რაიონი I, N1 კორპუსში მდებარე 45 კვ.მ უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, მოქალაქე ელა ტატევოზიანის საკუთრებაში **სიმბოლური ფასად - 1 (ერთი) ლარად გადაცემის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.**

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამგორის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე ელა ტატევოზიანმა და ითხოვა, მის სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი ფართის, მდებარე: ქალაქ თბილისი, ლილოს დასახლება, I მ/რ, N1 კორპუსი 45 კვ.მ. ფართის პრივატიზების მიზნით, უფლებამოსილ ორგანოებთან შუამდგომლობის გაწევა.

**ირაკლიმ თავართქილაძემ ასევე ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებზე:**

- დაინტერესებული პირის ხანგრძლივი ცხოვრების ფაქტს ადასტურებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველომ, სამგორის რაიონის გამგეობის მიერ გაცემული დოკუმენტი, ასევე, მოქალაქეები: ნიკოლოზ ალაპიშვილის და ვიტალი ტოპოლსკის სანოტარო წესით დამოწმებული განცხადებით ადასტურებენ, რომ ელა ტატევოზიანი და მისი ოჯახი 2004 წლიდან ნამდვილად ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე;
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული წერილის თანახმად, ელა ტატევოზიანს და მისი ოჯახის წვრებს საკუთრებაში არ უფიქსირდებათ უძრავი ქონება.

მოხსენების მიწურულს, ირაკლი თავართქილაძემ მიუთითა, რომ სამგორის რაიონის გამგეობამ შუამდგომლობა გაუწია დაინტერესებულ პირს, ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლება, პირველი მ/რ, N1 კორპუსში მდებარე 45 კვ.მ უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, ხოლო, **ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და გადაწყვიტა,** მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მოქალაქე ელა ტატევოზიანის საკუთრებაში პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, სიმბოლური ფასად - 1 (ერთი) ლარად გადაცემის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

**აზრი გამოთქვეს:**

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია, პროექტის სათაურში ჩაემატოს სიტყვები „საკითხის შეთანხმების“, პირველ პუნქტში აღნიშნულ იქნას უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური - 1 (ერთი) ლარის ოდენობით და აღნიშნული პუნქტი, პროექტის მე–2 პუნქტთან ერთად გაიმართოს ტექნიკური თვალსაზრისით.

**გადაწყვიტეს:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**25.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, "ქალაქ თბილისში, ხუდადოვის ქუჩა N173-ში, კორპუს N4-ში, კორპუს N5-ში და კორპუს N6-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.09.001.004, N01.16.09.001.001, N01.16.09.001.020) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**როგორც მომხსენებელმა განმარტა,** პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ხუდადოვის ქუჩა N173-ში, კორპუს N4-ში, კორპუს N5-ში და კორპუს N6-ში მდებარე უძრავი ქონების შემდეგი პირებისათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხის, ქალაქ თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას:

○ **ინგა ხუბაშვილი** პ/ნ 01030010668; 43.08 კვ.მ; **მურმან მაჭარაშვილი;** პ/ნ 01034002715; 55.78 კვ.მ; **თამარ ბუცხრიკიძე** პ/ნ 01017040182; 54.61 კვ.მ; **ნათელა წიქორიძე;**პ/ნ 53001050189; 55.82 კვ.მ; **როზა წიკლაური;**პ/ნ 24001025386; 53.42 კვ.მ; **თამარ მეზვრიშვილი;** პ/ნ 59001016583; 49.85 კვ.მ; **თეა ბაცანაძე;**პ/ნ 01021000850; 53.42 კვ.მ; **ალექსი გაგნიძე;**პ/ნ 01036005215; 60.24 კვ.მ; **მერაბ აკულაშვილი;**პ/ნ 01019036204; 74.38 კვ.მ; **მაია კაპანაძე;**პ/ნ 12001034989; 96.85 კვ.მ; **თეა თვაური** პ/ნ 59001030260; 28.12 კვ.მ; **ნანა მარღია;**პ/ნ 51001019358; 79.70 კვ.მ;

**მომხსენებელმა კომისიის წევრებს მიაწოდა საკითხთან დაკავშირებული გარემოებანი, კერძოდ:**

○ ჩუღურეთის რაიონის გამგეობამ წერილობითი შუამდგომლობებით მიმართა სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს და მასთან წარდგენილი განცხადებების საფუძველზე, ითხოვა ქალაქ თბილისში, ხუდადოვის ქუჩა N173-ში, კორპუს N4-ში, კორპუს N5-ში და კორპუს N6-ში არსებული საცხოვრებელი იზოლირებული ფართების, სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემა, განკარგულების პროექტის დანართი 1-ში მითითებული, ზემოაღნიშნული პირებისათვის.

○ დაინტერსებულ პირთა ხანგრძლივი ცხოვრების ფაქტს ადასტურებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს პოლიციის III განყოფილება, გაცემული დოკუმენტებით, სადაც მითითებულია, რომ ზემოაღნიშნული პირები **1992-2006** წლებიდან დღემდე ნამდვილად ცხოვრობენ მისამართზე: ქალაქ თბილისი, ხუდადოვის ქუჩა N173-ი, კორპუსი N4-ი, კორპუსი N5-ი და კორპუსი N6-ი, ამასთან, მეზობლები ნოტარიულად დამოწმებული განცხადებებით, ადასტურებენ, რომ ზემოაღნიშნული მოქალაქეები 1992-2002 წლებიდან დღემდე, ოჯახებთან ერთად ნამდვილად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე;

○ პირთა ცხოვრების ფაქტი აგრეთვე დასტურდება, ჩუღურეთის რაიონის გამგეობის მიერ შედგენილი შემოწმების ოქმებით;

○ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წერილების, თანახმად, უძრავი ქონების გადაცემით დაინტერესებულ პირთა და მათი ოჯახის წევრების სახელზე, უძრავ ნივთებზე

უფლებათა რეესტრის ელექტრონული წიგნის მონაცემებით, საკუთრების უფლება უძრავ ნივთებზე ქალაქ თბილისში, რეგისტრირებული არ არის;

- საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 21 ოქტომბრის MOD 5 20 00956441 წერილის თანახმად, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო არ არის წინააღმდეგი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტმა განკარგოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართები;

**ირაკლი თავართქილაძემ ასევე დაამატა,** რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ იმსჯელა და შესაძლებლად მიიჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლური ფასის – 1(ერთი) ლარის სანაცვლოდ პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

**აზრი გამოთქვეს:**

**კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, განკარგულების** პროექტის სათაურის, პირველი და მე–2 პუნქტების რედაქტირება, შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების მიზნით.

**გადაწყვიტეს:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

**26.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ**, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, "ქალაქ თბილისში, ილორის ქუჩა N14-ში, შენობა-ნაგებობა N1-ში, პირველ სართულზე არსებული 729.25 კვ.მ ფართიდან 540.31 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: 01.11.05.035.010) შპს „ზაურ ხუბუტიას სახელობის დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი დიოსკურიასთვის" (ს/კ: 200209844) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**მომხსენებლის მითითებით,** განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, შპს „ზაურ ხუბუტიას სახელობის დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი დიოსკურიასთვის" ქალაქ თბილისში, ილორის ქუჩა N14-ში, შენობა - ნაგებობა N1-ში, პირველ სართულზე არსებული 540.31 კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხზე ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

**ირაკლი თავართქილაძემ, კომისიის წევრებს დეტალურად მიაწოდა საკითხთან დაკავშირებული ინფორმაცია, კერძოდ:**

- ქალაქ თბილისის მთავრობის 2017 წლის 13 დეკემბრის N46.14.910 განკარგულების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N20 განკარგულებისა და 2018 წლის 8 თებერვლის Nბ61.01180394 ბრძანების საფუძველზე, შპს „ზაურ ხუბუტიას

სახელობის დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი დიოსკურიას" პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცა ქალაქ თბილისში, ილორის ქუჩა N14-ში შენობა - ნაგებობა N1-ში, პირველ სართულზე არსებული **540.31 კვ.მ** ფართი სამედიცინო ცენტრის ფუნქციონირების მიზნით.

- სსიპ ქონების მართვის სააგენტოს წერილობით მიმართა შპს „ზაურ ხუბუტიას სახელობის დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი დიოსკურიას" დირექტორმა და ამცნო, რომ შპს „ზაურ ხუბუტიას სახელობის დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი დიოსკურია" აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტროს 100%-ანი სახელმწიფო წილით, ჩართულია საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში, 1996 წლიდან სარგებლობს ქალაქ თბილისში, ილორის ქუჩა N14-ში არსებული შენობის პირველი სართულის ფართით და უსასყიდლო უზუფრუქტის მოქმედების ვადა ამოწურვის გათვალისწინებით, ითხოვა, აღნიშნული ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით კვლავ გადაცემა, მათი საქმინობის სრულ კანონმდებლობაში მოქცევის მიზნით.
- **საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული შესაბამისი წერილით, სამინისტრო არ არის წინააღმდეგი,** ქალაქ თბილისში, ილორის ქუჩა N14-ში მდებარე უძრავი ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით განკარგვასთან დაკავშირებით, იმ პირობით, რომ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, სრულფასოვანი სამედიცინო სერვისების სათანადო პირობებში მიწოდების მიზნით, უზრუნველყოფილი იქნება მითითებული შენობის ინფრასტრუქტურული მდგომარეობის გაუმჯობესება და ამასთან, მის მიერ შემდგომში არ განხორციელდება აღნიშნული უძრავი ქონების განკარგვა.
- **აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტროს შესაბამისს წერილში** აღნიშნულია, რომ სამინისტრო, როგორც შპს „ზაურ ხუბუტიას სახელობის დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი „დიოსკურიას" პარტნიორი და 100%-იანი წილის განმკარგავი, თანახმაა ქ. თბილისში, ილორის ქუჩა N14 მდებარე უძრავი ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 წლის ვადით გადაცემის შემთხვევაში, წლის შედეგების შესაბამისად, მოახდინოს საწარმოს მოგების სრული რეინვესტირება ინფრასტრუქტურული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

**მოხსენების მიწურულს, ბატონმა ირაკლიმ დაამატა, რომ** ქალაქ თბილისის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, **2 წლის ვადით** გადაცემის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა შემდეგი პირობებით: **შპს „ზაურ ხუბუტიას სახელობის დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი „დიოსკურიას" მიერ უნდა მოხდეს ყოველწლიურად მიღებული მოგების სრულად რეინვესტირება, ამავე ქონების ინფრასტრუქტურული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და გადაცემული უძრავი ქონება გამოყენებულ უნდა იყოს მხოლოდ სამედიცინო ცენტრის ფუნქციონირების მიზნით.**

აზრი გამოთქვეს:

**კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა** განკარგულების პროექტის პირველი და მე–3 პუნქტების რედაქტირებაზე, მართებული რედაქციით ჩამოყალიბების მიზნით.

**გადაწყვიტეს:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანი

სხდომის მდივანი თამთა კაკოიშვილი